

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სანტექნიკის სიტემების ექსპლუატაცია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4

პროგრამის ხელმძღვანელი: ავთანდილ ქურცაძე

რუსთავი

2019წ.

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა : წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები/Water Supply and Sewage Systems

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: 07309-პ

3. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში / Basic Vocational Qualification in Plumbing  
განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCED) შესაბამისია 0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია

4. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრის მომზადებას. კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს შიდა და გარე წყალმომარაგების ქსელების კომპონენტების მონტაჟი და საკანალიზაციო ქსელზე საექსპლუატაციო, შეკეთებითი და სამუშაოების ჩატარება. სამუშაო სრულდება უსაფრთხოების წესების დაცვითა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებით.

5. დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

6. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში (სამშენებლო-სარემონტო კომპანიები, სამრეწველო ობიექტები, ინდივიდუალური მშენებლობებისა და მუნიციპალური სისტემების მომსახურება. შესაძლებელია თვითდასაქმება), რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია შენობა-ნაგებობების შიდა წყალსადენისა და გარე წყალარინების სისტემების მშენებლობასთან სანტექნიკოსის პოზიციაზე. დასაქმება შეიძლება როგორც კერძო, ასევე საჯარო ორგანიზაციებში.

ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები:

37.0; 37.00; 37.00.0 კანალიზაცია - ქვეკლასი შეიცავს:

- კოლექტორების ან კანალიზაციის დასამუშავებელი მოწყობილობების ექსპლუატაციას
- ჩამდინარე წყლების (საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლების, საცურაო აუზების წყლის და მისთ. ჩათვლით) გასუფთავებას ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესებით, როგორებიცაა: გაზავება, გაფილტვრა, სედიმენტაცია და მისთ.
- საკანალიზაციო და სადრენაჟო არხების ტექნიკურ მომსახურებას და გასუფთავებას, საკანალიზაციო მილების მოქნილი ღეროებით დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7126

7. სტრუქტურა და მოდულები

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში მოიცავს **79 კრედიტს**, საიდანაც ზოგად მოდულთა კრედიტების ჯამური რაოდენობაა 16 კრედიტი ( 6 მოდული), საერთო პროფესიული მოდულების კრედიტების ჯამური რაოდენობაა 6 (2 მოდული), ხოლო პროფესიული მოდულების - 57 კრედიტი. სავარაუდო ხანგრძლივობაა 1,5 წელი.
- მოდულის, „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით.
- აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება **94** კრედიტი;

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სიტემების ექსპლუატაციაში			
ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება		კრედიტი
1.	0610003 ინფორმაციული წიგნიერება 1		3
2.	0030104 ინტერპერსონალური კომუნიკაცია		3
3.	0020103 რადენობრივი წიგნიერება		2
4.	0110004 სამოქალაქო განათლება		2
5.	0410003 მეწარმეობა 1		2
6.	0230101 უცხოური ენა /ინგლისური ენა/		4
ჯამი			16
საერთო პროფესიული მოდულები			
№	მოდულის დასახელება		კრედიტი
1	0730901 გაცნობითი პრაქტიკა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებში		2
2	0730914 კომპანიის მოთხოვნები და საინფორმაციო ბაზები		4
ჯამი			6
პროფესიული მოდულები სანტექნიკის სიტემების ექსპლუატაციაში			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	0730922 გაცნობითი პრაქტიკა-სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია		2
2.	0730923 საწარმოო პრაქტიკა-სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია		6
3.	0730924 პრაქტიკული პროექტი-სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია		5
4.	0730925 სამშენებლო ნახაზების კითხვა და სამშენებლო-სანტექნიკური სქემების შედგენა		4
5.	0730926 შრომის უსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია საზეინკლო საქმეში		3
6.	0730927 საზეინკლო სამუშაოები სანტექნიკოსის საქმიანობაში	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ შრომის უსაფრთხოება და</li> <li>✓ საწარმოო სანიტარია საზეინკლო საქმეში</li> <li>✓ სამშენებლო ნახაზების კითხვა და სამშენებლო-სანტექნიკური სქემების შედგენა</li> </ul>	4



ჯამი		57
კრედიტების რ-ბა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის სულ:		79
კრედიტების რ-ბა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის სულ:		94

**8. სწავლის შედეგები:**

აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ სანტექნიკის სიტემების ექსპლუატაციაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. წაიკითხოს სამშენებლო ნახაზები;
2. შეადგინოს სამშენებლო-სანტექნიკური სქემები;
3. მოაწყოს დასახლებული ადგილებისა და შენობების გარე წყალმომარაგების ქსელები;
4. მოაწყოს წყალარინების გარე ქსელებისა და სანიაღვრე სისტემა;
5. განახორციელოს შიდა წყალსადენი სიტემების მონტაჟი;
6. განახორციელოს შიდა წყალარინება;
7. განახორციელოს თბომომარაგება;
8. განახორციელოს ჰელიოსისტემის მოწყობა.

**9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საბაზო კვალიფიკაციის მისაღებად და სრულად მოიცავს სავალდებულო ზოგად, საერთო პროფესიულ და პროფესიულ მოდულებს სანტექნიკის სიტემების ექსპლუატაციაში

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

**არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.**

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში, ხოლო დამატებითი შეფასების განხორციელების პირობები განისაზღვრება დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამოცხადება*), რომლებიც მნიშვნელოვანია

პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

#### **მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., შესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

#### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

#### **11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

#### **12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამღვევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

#### **13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი), 2019 წლის 31 იანვარი N 80/ი

#### **14. პარტნიორი ორგანიზაციების სია:**

1. შპს „404“
2. შპს „ქალაქის სანტექნიკი“
3. შპს „ჯი ბი ჯი“

#### 4. ააიპ „რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანება“

##### დანართები:

- დანართი №1 - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- დანართი №2 - სასწავლო გარემოს აღჭურვილობა;
- დანართი №3 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- დანართი №4 - 0110001, „ქართული ენა A 2“;
- დანართი №5 - სასწავლო გეგმა, ქართული ენა;
- დანართი №6 - 0610003, ინფორმაციული წიგნიერება 1;
- დანართი №7 - 0230101, უცხოური ენა ( ინგლისური ენა );
- დანართი №8 - 0410003, მეწარმეობა 1;
- დანართი №9 - 0020103, რაოდენობრივი წიგნიერება;
- დანართი №10 - 0030104, ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
- დანართი №11 - 0110004, სამოქალაქო განათლება;
- დანართი №12 - 0730901 გაცნობითი პრაქტიკა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებში;
- დანართი №13 - 0730914 კომპანიის მოთხოვნები და საინფორმაციო ბაზები;
- დანართი №14 - 0730922 გაცნობითი პრაქტიკა-სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია;
- დანართი №15 - 0730923 საწარმოო პრაქტიკა-სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია;
- დანართი №16 - 0730924 პრაქტიკული პროექტი- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია;
- დანართი №17 - 0730925 სამშენებლო ნახაზების კითხვა და სამშენებლო-სანტექნიკური სქემების შედგენა;
- დანართი №18 - 0730926 შრომის უსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია საზეინკლო საქმეში;
- დანართი №19 - 0730927 საზეინკლო სამუშაოები სანტექნიკოსის საქმიანობაში;
- დანართი №20 - 0730928 შიდაწყალარინება;
- დანართი №21 - 0730929 გარეწყალარინება;
- დანართი №22 - 0730930 წყალმომარაგების ელემენტები;
- დანართი №23 - 0730932 გარე წყალმომარაგების ქსელების მოწყობა;
- დანართი №24 - 0730931 შიდა წყალმომარაგების ქსელების მოწყობა;
- დანართი №25 - 0730934 ჰელიოსისტემა;
- დანართი №26 - 0730933 თბომომარაგება.